

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის  
VI სამეცნიერო კონფერენცია:**

**„შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები  
ინტერდისციპლინური კვლევების სპექტრში“**

**პ რ ო გ რ ა მ ა და  
თ ე ზ ი ს ე ბ ი**



15-16 აპრილი  
თბილისი 2021



**კონფერენციის პროგრამა**

**ხუთშაბათი, 15 აპრილი**

**ზუმის ID: 2805179446**

**კონფერენციის გახსნა**

11:00 კონფერენციის გახსნა

**ნანა გაფრინდაშვილი**-თსუ პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

**ნანა გელაშვილი** – თსუ პროფესორი, „შორეული აღმოსვლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულების ხელმძღვანელი

მისალმებები

### **რეგლამენტი**

მოხსენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

**15 აპრილი**

**11:00-14:30**

**სხდომის თავმჯდომარე – ნანა გელაშვილი**

**შალვა ჩიხლაძე**

თსუ მონვეული ლექტორი

**ქართველი ბოლშევიკების ჩართულობა ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში 1920-1930-იან წლებში**

## **მარინე ჯიბლაძე**

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, ჩინური ფილოლოგიის დოქტორი

**ჭოუ ენლაი და ახალი ჩინეთის დიპლომატიური სამსახურის ფორმირება**

## **მარიკა მშვილდაძე**

თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის**

## **ნანა გელაშვილი**

თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსი XIX საუკუნის მეორე ნახევარში**

## **სოფიო გუგუნავა**

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

**ჩინეთ-იაპონიის დავა სენკაკუ/დაიოს კუნძულებთან დაკავშირებით**

## **შესვენება – 14:30-15:00**

სხდომის თავმჯდომარე – თათია მემარნიშვილი

## **ნანა ციხისტავი**

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**ისტორიის სწავლება საზღვრების გარეშე: რა უნდა გაკეთდეს მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ისტორიის სწავლებაში სამხრეთ კორეის მაგალითზე**

## **ემზარ მაკარაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

## **დავით ანდლულაძე**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**ლიოუ ყანდარელი – კუანგვენის ღვანლი ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობაში**

## **თინათინ შიშინაშვილი**

თსუ დოქტორანტი

**ჩინეთი კულტურის განზომილებათა სქემებში**

## **ლელია(ია) ხუბაშვილი**

თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

## **გიორგი ოქრიაშვილი**

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ საერთაშორისო მედიაპროექტის “Turning Points” რედაქტორი საქართველოში

**იაპონური ფაშიზმის ზოგიერთი საკითხისათვის**

## **მარიამ ჩალაბაშვილი**

შორეული აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრი

**იაპონური აზროვნების ლაბირინთებში**

## **ელენე გოგიაშვილი**

თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

**განმორება იაპონურ და ევროპულ ხალხურ ზღაპრებში**

**16 აპრილი**

**11:00-14:30**

**ზუმის ID: 2805179446**

სხდომის თავმჯდომარე – ნანა გელაშვილი

**ლილი დავითაშვილი**

კულტური რელიქვიებისა და მუზეუმცოდნეობის მაგისტრი

**ევრაზიის სტეპების „ბრინჯაოს გზა“: ჩრდილოეთ ჩინეთისა და საქართველოს ცხოველური სტილის ბრინჯაოს ბალთების მაგალითზე**

**იზოლდა ბელთაძე**

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

**ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის სათავეებთან**

**სალომე ციხისელი**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

**სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე**

**კახაბერ ჭაფოძე**

თსუ დოქტორანტი

**ომების ევოლუცია და სუნ-ძის ფუნდამენტური იდეების რელევანტურობა თანამედროვე სამხედრო დოქტრინასთან**

**თეონა გელაშვილი**

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

**სოციალური კეთილდღეობის რეფორმა ჩინეთში**

## **შესვენება 14:30-15:00**

სხდომის თავმჯდომარე – თათია მემარნიშვილი

### **ანა გოგუაძე**

თსუ ჩინური ენის მონვეული ლექტორი

**ჩინური ავანგარდული ფიქცია კულტურული რევოლუციის შემდეგ:  
სამი ჩინელი თანამედროვე მწერალი**

### **ნინო მიქავა**

თსუ დოქტორნატი

**ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივა**

### **ნინო გელანტია**

სოციოლოგიის მაგისტრი

**ქალის როლი ტრადიციულ და თანამედროვე ჩინურ კულტურაში  
-სამეცნიერო-შედარებითი ანალიზი საქართველოსთან**

### **ლევან ჯანჯღავა**

მაგისტრი, სენტ ენდრიუს უნივერსიტეტი

**ფუსაკო შიგენობუ, როგორც წარსულისა და მომავლის საშიში  
კომბინაცია**

### **სალომე სუხიაშვილი**

თსუ დოქტორანტი

**რამდენიმე ქართული და იაპონური ტრადიცია კომპარატივისტულ  
ჭრილში**

### **თამარ ცაგარელი**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის  
დოქტორი

**ნოს თეატრი-მსოფლიოს უძველესი ტრადიცია**





Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Faculty of Humanities  
Institute of Oriental Studies  
The VI Scientific Conference of Far East Region Studies

“The Far Eastern Countries in the Spectrum of Interdisciplinary Studies”

**P R O G R A M**

April 15-16

Tbilisi 2021

**Thursday, April 15**

**Zoom ID: 2805179446**

11:00 – Opening of Conference

**Nana Gaphrindashvili** – TSU Professor, Dean of faculty of Humanities

**Nana Gelashvili** – TSU Professor, Head of Direction of “Far East Regional Studies”

Greetings

**Time Limit:**

Presentation- 15 minutes

Discussion – 5 minutes

**11:00 – 14:30**

**Chair – Nana Gelashvili**

**Shalva Chikhladze**

TSU Visiting Lecturer

**The Engagement of Georgian Bolsheviks in the Chinese Social and Political Process during the 1920-1930s**

**Marine Jibladze**

Professor at Free University, Doctor of Chinese Philology

**Zhou Enlai and the Formation of New China's Diplomatic Service**

**Marika Mshvildadze**

TSU Associate Professor, Doctor of Historical Sciences

**For the Study of the Relationship Issues between the Roman and Han Empires**

**Nana Gelashvili**

TSU Associate Professor, Doctor of Historical Sciences

**Japan's Foreign Political Course in the Second Half of the 19th Century**

**Sopio Gugunava**

TSU PhD in Social Sciences, Georgian National University

**Sino-Japanese Dispute over Senkaku/Daiyo Islands**

## **Break**

**14:30 – 15:00**

### **Chair – Tatia Memarnishvili**

#### **Nana Tsikhistavi**

Associate Professor of the New Higher Education Institute, PhD in History

**Teaching the Borderless History around the World: What needs to be done for Peace and Cooperation in Teaching History on the Example of South Korea**

#### **Emzar Makaradze**

Professor at Batumi Shota Rustaveli State University

#### **Davit Andghuladze**

PhD Student

**Liu Kandareli-Quangwen’s Contribution to Chinese-Georgian Relations**

#### **Tinatin Shishinashvili**

PhD Student

**China among Cultural Dimensions**

#### **Leila (Ia) Khubashvili**

TSU Associate Professor, Doctor of Historical Sciences

#### **Giorgi Okriashvili**

New York Times International Media Project “Turning Points” Editor in Georgia

**Japanese Fascism**

#### **Mariam Chalabashvili**

MA in Far East Modern and Contemporary History

**In labyrinths of Japanese Way of Thinking**

#### **Elene Gogiashvili**

TSU Associate Professor, PhD in Philology

**Separation of Love Couple in Japanese and European Folktales**

**Friday, April 16**

**11:00-14:30**

**Chair – Nana Gelashvili**

**Zoom ID: 2805179446**

**Lili Davitashvili**

Master of Cultural Heritage and Museology

**“The Bronze Road” of Eurasian Steppes: A Case study of North China and Georgia  
Bronze Animal Style Buckle**

**Izolda Beltadze**

Batumi State University, Associate Professor, Doctor of Historical Sciences

**With the Heads of an East India Trading Company**

**Salome Tsikhiseli**

PhD in Humanitarian Sciences

**Influence of Various Factors on the Formation of English, Chinese and Georgian  
Idiomatic Expressions**

**Kakhaber Chapodze**

PhD Student

**Evolution of Wars and Relevance of Sun-Tzu’s Fundamental Ideas to the Contem-  
porary Military Art**

**Teona Gelashvili**

Master of International Relations

**Social Welfare Reform in China**

**Break**

**14:30 – 15:00**

**Chair – Tatia Memarnishvili**

**Ana Gogvadze**

TSU Chinese Language Lecturer

**Chinese Avant-Garde Fiction after the Cultural Revolution: Three Leading Chinese Contemporary Writers**

**Nino Mikava**

PhD Student

**China's "One Belt, One Road" Initiative**

**Nino Gelantia**

**MA Sociology**

The Role of Women in Traditional and Modern Chinese Culture – A Scientific-Comparative Analysis with Georgia

**Levan Janjgava**

MLitt. St. Andrews University

**Fusako Shigenobu, the dangerous combination of past and future**

**Salome Sukhiashvili**

PhD Student

**Several Georgian and Japanese Traditions in a Comparative Context**

**Tamar Tsagareli**

Shota Rustaveli Theatre and Film University, Associate Professor, PhD in Arts

**Noh Theatre – The World's Oldest Tradition**

## თ ე ზ ი ს ე ბ ი

იზოლდა ბელთაძე

### ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის სათავეებთან

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა XVI-XVIII საუკუნეების ინგლისის ეკონომიკური ისტორიიდან, ინგლისის ერთ-ერთი მდიდარი საპაიო კომპანიის ოსტ-ინდოეთის წარმოშობის წინაპირობები, მისი თავდაპირველი კაპიტალი, მოგება და მნიშვნელობა ინგლისის კოლონიურ ექსპანსიაში.

ირკვევა, რომ ინგლისში ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის დაარსება განაპირობა მთელმა რიგმა ფაქტორებმა: მაუდის მრეწველობის, ვაჭრობის განვითარებამ, (1507 წლიდან) ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანის არსებობამ (რომელიც ეწეოდა მხოლოდ კონტინენტურ ვაჭრობას), რომლისგანაც გამოიყო მდიდარი ვაჭრები საპაიო კომპანიაში გასაერთიანებლად, კაპიტალიზმის განვითარებამ, საზღვაო გზების გადანაცვლებამ აღმოსავლეთში, ინგლისური მაუდის გასაღების და ნედლეულის (აბრეშუმის, ბამბის) ბაზების ძიებამ.

ყოვლივე ამან ხელი შეუწყო საპაიო კომპანიის შექმნას, რომელსაც ბრუნვაში ჰქონდა უფრო დიდი კაპიტალი, და ქვეყნისათვის მოჰქონდა უფრო დიდი მოგება, ვიდრე ლონდონის ავანტიურისტთა კომპანიას.

ეს კომპანია დაარსდა 1600 წელს ინგლისის დედოფალ ელისაბედ პირველის დროს (1558-1603 წწ), რომელმაც ქარტიით მიიღო მონოპოლიური უფლება აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში და ყველა კუნძულზე დაწყებული კეთილი იმედის კონცხიდან მაგელანის სრუტემდე. ეს კომპანია თავიდანვე ეწეოდა საქონლის არაექვივალენტურ, ბარტერულ გაცვლას, რითაც იღებდა დიდძალ მოგებას, რაც ფარავდა საბაჟო გადასახადებების და საქონლის ტრანპორტირების ხარჯებს.

სამრეწველო რევოლუციის შემდეგ კი, XVIII -დან ინგლისიდან ოსტ-ინდოეთში შეჰქონდათ ლითონები, გამოჰქონდათ ისევე სანელებლები, ბამბის და აბრეშუმის ნედლეული, მარილი, ჩაი, კალიუმის ნიტრატი, ოპიუმი და სხვა საქონელი.

ოსტ-ინდოეთის კომპანია შემდეგში არ შემოიფარგლებოდა მარტო ინდოეთთან ვაჭრობით. ის უკავშირდება ირანს და იაპონიასაც. კომპანიის მოგება იმდენად დიდი ყოფილა, რომ XVIII ს-ში მის კაპიტალს მიუღწევია 6 მლნ ფუნტ სტერლინგამდე.

ამრიგად, ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების პოვნაში, აღმოსავლური ნედლეულის აბრეშუმის, ბამბის შემოტანაში, საბრუნავი კაპიტალის გაზრდაში, რაც მიიღეს აღმოსავლეთის პროდუქტების: პილპილის, მიხაკ-დარიჩინის, ინდიგოს, ჯავზის და სხვა საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით, კოლონიური იმპერიის შექმნაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაუფლებაში.

ნანა გელაშვილი

### **იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსი XIX საუკუნის მეორე ნახევარში**

1854 წელს აშშ-ს მიერ იაპონიის ძალდატანებით გახსნის შედეგად ქვეყნის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. კერძოდ, დასრულდა იაპონიის ხანგრძლივი თვითიზოლაციის ხანა (1639-1854), რომელიც იმით აღინიშნა, რომ ის დასავლეთის დიდი სახელმწიფოების არა თანაბარუფლებიან პარტნიორად, არამედ მათზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა. აშშ-იაპონიას შორის დადებული პირველი ხელშეკრულების თანახმად, აშშ-მ მთელი რიგი პრივილეგიები მოიპოვა იაპონიაში. ქვეყანაში იმხანად არსებული კრიზისული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლება იძულებული იყო ევროპის სახელმწიფოებთანაც ანალოგიური კაბალური და უთანასწორო ხელშეკრულებები გაეფორმებინა, რომლებიც ბლალავდნენ ქვეყნის ეროვნულ სუვერენიტეტს.

მონარქიის რესტავრაციამ 1968 წელს და 1871-1873 წლების ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმებმა იაპონია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მართალია, სანყის ეტაპზე იაპონიის ხელისუფლება დიდი ენთუზიაზმით შეუდგა დასავლური ნიმუშის მიხედვით ქვეყნის გარდაქმნას, თუმცა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროპეიზაციის დანერგვის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და ფართომასშტაბიანი ანტიდასავლური მოძრაობა გაიშალა. ნათლად გამოიკვეთა, რომ დასავლური ნორმებისა და ინსტიტუტების დამკვიდრება საფრთხეს უქმნიდა იაპონურ ეროვნულ ფასეულობებს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორიც შეიცვალა და გაჩაღდა ე. წ. „თეთრი ბარბაროსების“ წინააღმდეგ მიმართული კამპანია. იაპონიის მმართველმა წრეებმა გააჟღერეს იაპონელი ხალხის უფლება და ვალდებულება იმის თაობაზე, რომ მათ „თეთრი ბარბაროსებისგან“ უნდა დაეცვათ არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ კორეა, ჩინეთი და შორეული აღმოსა-

ვლეთის სხვა ქვეყნები. დასახული მიზნის განსახორციელებლად იაპონია მოხერხებული პოლიტიკური სვლებით ლავირებას ახდენდა როგორც დასავლეთის, ისე აზიის ქვეყნებთან მიმართებაში. შედეგად, XIX საუკუნის მიწურულს იაპონიამ მოახერხა ყველა ზემოთ ხსენებული კაბალური ხელშეკრულების გაუქმება. დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერვენციისგან განთავისუფლების შემდეგ კი ის თავად დაადგა კოლონიური ექსპანსიის გზას, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა წარმატებულ სამარ მოქმედებებში კორეის წინააღმდეგ და ჩინეთ-იაპონიის ომში (1894-1895). გარდა ამისა, იაპონიის გავლენის სფეროში ეტაპობრივად მოექცა შორეული აღმოსავლეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების დიდი ნაწილი. ასე რომ, XIX საუკუნის ბოლოსთვის იაპონია უკვე მძლავრ კოლონიურ იმპერიას წარმოადგენდა.

თეონა გელაშვილი

### **სოციალური კეთილდღეობის რეფორმა ჩინეთში**

1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შემდეგ, ახალმა მმართველებმა დაიწყეს სოციალისტური ეკონომიკის დამყარება ქვეყანაში. ქალაქებში მიიღეს დასაქმების უნივერსალური პოლიტიკა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ყველა ქმედი თუნარიანი ზრდასრული მოქალაქე იყო განევრიანებული სხვადასხვა ტანვეიში (სამუშაო განყოფილებებში). ჯანდაცვის ყოვლისმომცველი პაკეტი კი ტანვეის საშუალებით იქნა გათვალისწინებული სახელმწიფო სანარმოების, სახელმწიფო უწყებების, სამთავრობო დეპარტამენტებისა და საჯარო სექტორის სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის. ფუნქციონირებდა როგორც თვითკმარი „მინი კეთილდღეობის სახელმწიფო,“ ტანვეის სისტემა შედგებოდა სამი ძირითადი ელემენტისგან: სამსახურის ვადა (ბრინჯის რკინის თასი), თანასწორუფლებიანი ხელფასი (ბრინჯის დიდი ქვაბი) და კეთილდღეობის პაკეტი.

1978 წლის ეკონომიკური რეფორმის დაწყებამდე ურბანული შრომის 80 პროცენტზე მეტი დაფარული იყო ტანვეის სისტემით. სოფლად ფერმერები კომუნებში იყვნენ ორგანიზებულები მიწის კოლექტიური საკუთრების საფუძველზე. ფერმერები მუშაობდნენ კომუნებში, რომელთა მეშვეობითაც ყოველდღიური საჭიროებები ნაწილდებოდა. იმ ურბანული მაცხოვრებლებისთვის, რომლებიც ტანვეის არ ეკუთვნოდნენ, შეიქმნა სოციალური დახმარების ზოგიერთი პროგრამა მათი ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. უღარიბესი სოფლის შინამეურნეობებისთვის შეიქმნა "ხუთი გარანტიის" სისტემა, რომელიც დაფინანსებული იყო სოფლის კოლექტივების მიერ, მათი ძირითადი საჭიროებების და-



საკმაყოფილებლად. კეთილდღეობის ეს რეჟიმი, მიუხედავად იმისა, რომ ხასიათდება მკვეთრი ურბანული და სოფლად გაყოფითა და კეთილდღეობის დაბალი დონით, უზრუნველყოფდა ძირითად სოციალურ დაცვას როგორც მშრომელთათვის, ასევე ფერმერებისათვის.

ჩინეთში 1978 წლისთვის, დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმები სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით. ხელმძღვანელობა თანდათანობით მიხვდა რომ საბაზრო ეკონომიკა ვერ იფუნქციონირებდა რაიმე სახის სოციალური დაცვის მხარდაჭერის გარეშე და ძველი დებულებების ნაცვლად უნდა დანესებულიყო ახალი რეფორმები. სწორედ ეს გახლდათ ჩინეთში რეფორმების დასაწყისი. ამიტომაც, ნაშრომზე მუშაობის პროცესში უფრო მეტად გავამახვილებ ყურადღებას ჩინეთის თანამედროვე სოციალური კეთილდღეობის რეფორმებს. კერძოდ, შევეცდები პასუხი გავცე შემდეგ კითხვებს: რა ცვლილებები განიცადა ჩინეთის კეთილდღეობის პოლიტიკამ? რა ძირითადი რეფორმები გატარდა და ახლა როგორი სოციალური კეთილდღეობის პროგრამას სთავაზობს ჩინეთი საკუთარ მოსახლეობას? ნაშრომში გაანალიზებული იქნება ჩინურ-ინგლისური მეორეული წყაროები და რამდენიმე წიგნი.

ნინო გელანტია

## **ქალის როლი ტრადიციულ და თანამედროვე ჩინურ კულტურაში -სამეცნიერო-შედარებითი ანალიზი საქართველოსთან**

ქალის საწყისი ჩინურ კულტურაში ოდითგანვე მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებდა, თავად ჩინურ ენაში გამოყენებული უამრავი იეროგლიფიც კი ქალის სიმბოლოსგან არის შედგენილი, მაგალითად, 好, 妈 და სხვა, სადაც 女 იეროგლიფი დაკავშირებულია ქალთან და გარკვეული კულტურულ-სიმბოლური დატვირთვა აქვს. წინა წლებში და ახლაც, აქტუალურია ქალის როლის, ფემინიზმის, ქალთა ლიდერობის, კვლევა ჩინურ კულტურაში და არაერთი სამეცნიერო ნაშრომი არსებობს. თუმცა არ მოიძებნება არც ერთი ნამუშევარი, რომელიც შეადარებს ქალის როლს ჩინურ და ქართულ კულტურაში, თუნდაც ერთადერთი იმპერატორი ქალის Wu Zetian-ს და თამარ მეფის, ოქროს ხანის ეპოქას.

კვლევითი ნაშრომის მიზანია სწორედ, ქალის როლის კვლევა ტრადიციულ/თანამედროვე კულტურულ ჭრილში ქართულ-ჩინური პერსპექტივიდან და შედარებითი ანალიზი შესაბამისად, კვლევისთვის გამოყენებული იქნება, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, მოხდება სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა, თეორიების გაცნობა, გარდა ამისა, დამუშავდება ქალის თემატიკაზე შექმნილი კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოებები გაანალიზდება მეცნიერულად ორივე ქვეყნის სამეცნიერო/შედარებითი ანალიზის პროცესში.

ელენე გოგიაშვილი

## **განშორება იაპონურ და ევროპულ ხალხურ ზღაპრებში**

ევროპული ზღაპრის სტრუქტურულ სქემას იაპონური გადმოცემები ნაკლებად შეესაბამებიან და ევროპელი მკითხველისთვის რთული აღსაქმელია, როგორც ზღაპრები. მორფოლოგიურად ისინი ჩვეულებრივ ჯადოსნურ ზღაპრებს წარმოადგენენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნეგატიური და საპირისპისო დაბოლოება აქვთ. იაპონური ზღაპრების ფინალური ეპიზოდები მოულოდნელია ევროპულ ზღაპარს მიჩვეული მკითხველისთვის, რაც მას აფიქრებინებს, რომ ზღაპარი არ დასრულდება. წყვილის განშორება ზღაპარში ნაღვლიანი და მშვენიერი ნაწილია თხრობისა. ფინალური ეპიზოდების ნეგატიური განვითარება და მელანქოლიური განწყობა იაპონური ესთეტიკური კონცეპტის შესაბამისია, - მაგრამ საჭიროა მათი სხვა თვალსაზრისით განხილვა. შედარებითი მითოლოგიის კონტექსტში იაპონური ზღაპრების ანალიზი ევროპული ხალხური ზღაპრების სიუჟეტებთან ერთად უნდა მოხდეს.

მოსხენების თემა ევროპული და იაპონური ზღაპრები, რომელთა სიუჟეტი ხასიათდება ტაბუს დარღვევით. ზღაპარი იწყება იმით, რითიც მთავრდება. რაც წყვილს შორის ხდება ის არის, რომ ზებუნებრივი მეულლე კეთილგანწყობილია მოკვდავის მიმართ, მისთვის ბედნიერება მოაქვს, მაგრამ ადამიანი არღვევს აკრძალვას და კარგავს მას. ტაბუს არსი მდგომარეობს იმაში, რომ არ შეიძლება პარტნიორის ნამდვილი სახის დანახვა. იაპონური ზღაპრებისთვის დამახასიათებელია ცოლის წასვლა. ევროპულ და ქართულ ზღაპრებში ცოლიც და ქმარიც, ორივე შეიძლება გაქრეს. ტაბუ დაკავშირებულია სხვადასხვა ქმედებასთან, მაგალითად, ბანაობა, ქსოვა, ტყავის დანვა და ა.შ. იაპონური და ევროპული ხალხური ზღაპრები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ არსებობს უნივერსალური სიუჟეტები, რომელთა ანალიზიც კვლევის საინტერესო პერსპექტივას გვთავაზობს.

ანა გოგუაძე

## **ჩინური ავანგარდული ფიქცია კულტურული რევოლუციის შემდეგ: სამი ჩინელი თანამედროვე მწერალი**

ჩინური თანამედროვე ლიტერატურისადმი ინტერესი ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა მსოფლიოში, ლიტერატურულ ტექსტებში ასახული ისტორიული, პოლიტიკურ-კულტურული და ეგზისტენციალური პრობლემები, რომელმაც კულტურული რევოლუციის შემდგომი ჩინეთი მოიცვა, დიდი ინტერესისა და კვლევის საგანი გახდა. წინამდებარე

ნაშრომი იკვლევს კულტურული რევოლუციის შემდეგ ჩინური ავანგარდული ფიქციის დაბადების პერიოდს ავანგარდული მოძრაობის სამი მნიშვნელოვანი ჩინელი თანამედროვე ავანგარდისტის – მო იენს, იუ ხუ-ასა და კე ფეის შედარების საფუძველზე. იკვლევს თანამედროვე ჩინურ ავანგარდულ მხატვრულ ლიტერატურაში სამი მწერლის მიერ ჩინურ ტრადიციებთან დაპირისპირების პროცესებსა და დასავლურ გავლენას მათ ნაწარმოებებში. ნაშრომში ასევე შეფასებული იქნება ავანგარდული მხატვრული მიღწევების გავლენა ჩინეთის ლიტერატურის ისტორიასა და მწერლების მომავალ თაობაზე, როგორც ერთგვარი კულტურული ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო აღქმისა და კონცეპტუალურობის მიღწევას და საუკუნვანი კულტურული ტრადიციის გადალახვას. ეს ნაშრომი მიზნად ისახავს, იკვლიოს დასავლური გავლენა და შენარჩუნებული „ჩინური მახასიათებლები“ ჩინურ ავანგარდულ ტექსტებში.

ჩემი ანალიზი ცხადყოფს, რომ მო იენი მიზნად ისახავს ისტორიის განცდას, რომელიც სენსიტიურია ადამიანისა და საზოგადოების კავშირის მიმართ, მაგრამ არ ინდობს პოლიტიკური იდეოლოგიის ტრადიციას, იუ ხუა ცდილობს დაანგრიოს მაოისტური ლიტერატურა და ისტორიულ ინტერპრეტაციაში ჩართოს სუბიექტურობა, კე ფეი კი მთლიანად უარყოფს ისტორიის კონცეპტუალიზაციას და ადამიანის გამოცდილებას, როგორც აღქმადი და გასაგები ერთიანობის საფუძვლის მიღებულ რაციონალურ დაშვებას.

სოფიო გუგუნავა

### **ჩინეთ-იაპონიის დავა სენკაკუ/დაიოს კუნძულებთან დაკავშირებით**

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობებში მთავარი საკითხი გახდა ტერიტორიული დავა აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში არსებული დაუსახლებელი კუნძულების ჯგუფთან დაკავშირებით. კუნძულები იაპონურად სენკაკუს სახელით არის ცნობილი, ხოლო ჩინურად მათ დაიოუტაის სახელით მოიხსენიებენ. კუნძულთა ეს ჯაჭვი შედგება მრავალი პატარა კუნძულებისგან და მცირე ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კუნძულების მიმდებარე წყლები მდიდარია სათევზაო ადგილებით და, სავარაუდოდ, შეიცავს ფსკერზე ნავთობისა და გაზის დიდ დეპოზიტებს. სწორედ ეს გახდა მთავარი მაპროვოცირებელი ჩინეთ-იაპონიას შორის არსებული დავის გამწვავებისა. კუნძულების ეკონომიკური ღირებულებისა და თავად აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის გარდა, აღინიშნულმა საკითხმა ორივე მხარისთვის ნაციონალისტური დატვირთვა შეიძინა.

ზემოთ ხსენებულმა კონფლიქტმა ესკალაციას მიაღწია 2012 წელს, ადგილი ჰქონდა მცირე შეიარაღებულ დაპირისპირებას. დღესდღეობით სენაკაუ/დაიოუტაი კუნძლების საკითხთან დაკავშირებით კვლავ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა შეთანხმება მიღწეული არ არის.

ლილი დავითაშვილი

### **ევრაზიის სტეპების „ბრინჯაოს გზა“: ჩრდილოეთ ჩინეთისა და საქართველოს ცხოველური სტილის ბრინჯაოს ბალთების მაგალითზე**

საქართველოსა და ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილი ევრაზიის ტერიტორიას მოიცავს. უძველესი დროიდან ევრაზიის სტეპებში არსებობდა კულტურათშორისი კავშირი და ურთიერთგავლენა, რაც განსაკუთრებით კარგად გამოვლინდა ბრინჯაოს კულტურაში. ეს კვლევა მოიცავს საქართველოსა და ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული ბრინჯაოს კულტურის, კერძოდ კი ცხოველური სტილის ბალთების ანალიზს, მისი გავრცელების არეალსა და ურთიერთკავშირს.

ევრაზიის „ბრინჯაოს გზა“ წარმოგვიდგენს ერთი სტილის ბრინჯაოს ბალთებს, აღმოჩენილს საქართველოს, ჩრდილოეთ ჩინეთისა და მთელს ევრაზიის სტეპებში, რომლებზეც მკაფიოდ აისახა შავი ზღვიდან ევრაზიისკენ მიგრირებული მომთაბარე ტომის, სკვითების „ცხოველური სტილის“ ხელოვნების გავლენა. ევრაზიის სტეპებში კულტურათშორის არტეფაქტების მსგავსი ფორმები არა მხოლოდ ასახავს სკვითური ხელოვნების გავლენას, არამედ აჩვენებს კულტურულ ურთიერთკავშირსაც ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე.

ემზარ მაკარაძე, დავით ანდლულაძე

### **ლიოუ ყანდარელ - კუანგვენის ღვანლი ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობაში**

ჩინეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის ლიოუ კუანგვენ-ყანდარელისა და მისი ოჯახის დამსახურებას. ამ მხრივ გამორჩეულნი არიან ლიუ კუანგვენ-ყანდარელი და მისი ბაბუა ლაო ჯონჯაუ/ლიუ ნუნჭოუ (კუანგტუნურ დიალექტზე ლაო ნუნგჭაო), რომლის ხუთმა თაობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩინეთ-საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განვითარებაში. ლიოუ ყანდარელ - კუანგვენი გახლავთ ლაო ჯონჯაუს (რომელსაც დიდი წვლილი და ამაგი მიუძღვის XIX

საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ჩაის კულტურის გაშენების საქმეში) შვილიშვილი, ლიოუ წებუასა და ნონა თუმშალიშვილის შვილი.

1958 წელს ლიოუ კუანგვენი განათლების მისაღებად პეკინიდან საქართველოში ჩამოვიდა და სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1960 წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ ქართველ მხატვარს, მსოფლიო მნიშვნელობის გობელენისტს, ან განსვენებულ გივი ყანდარელს. ლიოუ ყანდარელ-კუანგვენმა, 1962 წელს, თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაამთავრა ასპირანტურა. წლების განმავლობაში ასწავლიდა აკადემიაში, სამხატვრო ტექნიკუმსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში უმაღლესი განათლების, კერძოდ, ჩინეთის კვლევის სფეროში. 1985-1986 წლებიდან იწყებს ჩინური ენის სწავლებას საქართველოში, რომელსაც 30 წელი ემსახურება.

XX საუკუნის 80-იან წლებში, ლიოუ ყანდარელ-კუანგვენის ინიციატივით ფუძნდება საქართველო – ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება „აბრეშუმის გზა“, რომელსაც 1992 წელს გადაერქვა სახელი და ეწოდა საქართველო – ჩინეთის კულტურის ცენტრი „აბრეშუმის გზა“. იგი დღემდე არჩეული პრეზიდენტია. საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ხელშეკრულების გაფორმებამდე (1992 წლის 9 ივნისი), ლიოუ ყანდარელ-კუანგვენის ოჯახი ყველა ჩინელისათვის იყო „დედობრივი“ მზრუნველობით გამთბარი. სტუმართმოყვარე ქალბატონი, ყველა ჩინელსა თუ ქართველს, არ აკლებდა სითბოსა და ყურადღებას. ის ზოგიერთი ჩინელისათვის არის „დედა ლიოუ“, ზოგიერთისათვის კი – „პროფესორი ლიოუ“.

2000 წელს, ქ. პეკინში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ქალთა მეოთხე მსოფლიო ყრილობაზე, ჩინეთის საელჩომ საქართველოში, ლიოუ ყანდარელ-კუანგვენი აირჩია საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელი ქალთა გაერთიანების თავმჯდომარედ. ლიოუ ყანდარელ-კუანგვენი თარგმნის როგორც ქართულიდან, რუსულიდან ჩინურ ენაზე, ასევე – პირიქით. დიდი ხანი არ არის, რაც თარგმნა „ქართული სამზარეულო“; „ჩინური ენის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ ჩინურიდან და მრავალი სხვა საინტერესო წიგნი.

ნინო მიქავა

## ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივა

რა არის „ერთი სარტყელი, ერთი გზა“? ეს არის ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინპინის ამბიციური იდეა, რომელიც ორიენტირებული აზიის, აფრიკისა და ევროპის კონტინენტებზე, სხვადასხვა ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირის და კომერციული თანამშრომლობის გაუმჯობესებაზე. „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ პროექტს „საუკუნის პროექტად“ მოიხსენიებენ და მასში გაერთიანებულია დაახლოებით 78-მდე ქვეყანა. პროექტის ფარგლებში, მონაწილე ქვეყნების სატრანსპორტო დერეფნების განხილვა შეიძლება შეფასდეს რამდენიმე პერსპექტივიდან. პირველი, ეს შეიძლება იყოს ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა აბრეშუმის გზის ეკონომიკური ზონის ექვს სახმელეთო დერეფანთან; მეორე კი, განისაზღვრება ჩინეთთან პროექტის ხელმომწერი ქვეყნების მიხედვით. ამ ორი მიდგომის შედეგად არსებობს მონაწილე ქვეყნების ორი განსხვავებული სია. ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით, 2019 წლის მარტის მონაცემებით, 125 ქვეყანამ ხელი მოაწერა ჩინეთთან თანამშრომლობის ხელშეკრულებებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომელმაც ხელი მოაწერა „ახალი აბრეშუმის გზის – ეკონომიკური სარტყელის“ მშენებლობის პროექტში თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებას. ქართული მხარე მიიჩნევს, რომ საქართველო გეოგრაფიული მდებარეობით ევროპისა და ცენტრალური აზიის დამაკავშირებელი დერეფანია, შესაბამისად, ჩინური კომპანიებისათვის სავაჭრო, სატრანსპორტო და ლოჯისტიკის სტრატეგიულ ცენტრს წარმოადგენს.

პროექტის მიზანია ქვეყნებს შორის პოლიტიკური კოორდინაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება, ვაჭრობა ბარიერების გარეშე, ფინანსური ინტეგრაცია და ხალხთაშორისი კავშირები. ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული თანამშრომლობის მიუხედავად, „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ პროექტის ფარგლებში დაცული უნდა იქნას სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი, ღია თანამშრომლობა და საერთო ინტერესები და სარგებელი.

ჩინეთის პრეზიდენტის მიერ ინიცირებულმა პროექტმა რიგ ქვეყნებში ოპტიმიზმი და შეშფოთება გამოიწვია. ბევრი ქვეყანა, რომელიც ამ ინიციატივის საშუალებით ხედავს ბიზნესის და ვაჭრობის ახალ შესაძლებლობებს, თვლის, რომ ეს პროექტი გაზრდის სარგებელს და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას. სხვები სიფრთხილისკენ მოუწოდებენ და ხედავენ სერიოზულ რისკებს. თვლიან, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა შესაძლოა ვერ შეძლონ ამ პროექტის ვფარგლებში აღებული სესხების

დაფარვა, მოსალოდნელია, ისინი მარტო დარჩნენ რთულ და კომპლექსურ ინფრასტრუქტურებთან და ასევე, ზიანი მიადგეს გარემოს.

ეს კვლევა მიმოიხილავს „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას მთლიანობაში და არ წარმოადგენს ინდივიდუალური დერეფნების ან პროექტების ხარჯ-სარგებლის ანალიზს.

მარია მშვილდაძე

### **რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის**

ორი იმპერია – აღმოსავლეთით ხანისა და დასავლეთით რომის იმპერიები ელინისტური პერიოდის ბოლოსა და გვიან ანტიკური პერიოდის პირველ საუკუნეებში ევრაზიული კონტინენტის ორ ჰეგემონურ იმპერიას წარმოადგენდა. ნაშრომში გაანალიზებულია ჩინეთის ხანის იმპერიაში არსებული ჯერ კიდევ ცინის დინასტიის დროს დამკვიდრებული სინოცენტრიზმის იდეა, რომლის მიხედვითაც ჩინეთი მსოფლიოს კულტურულ ცენტრად გვევლინებოდა და ამ ფონზე ისტორიულ წყაროებზე (პლინიუს უფროსი, ლუციუს ანეუს ფლორუსი...), არტეფაქტებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტები, რმლებიც ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზის (აბრეშუმის გზა, რომელსაც ხანის დინასტიის პერიოდში ეყრება საფუძველი) მეშვეობით ხორციელდებოდა. ახ.წ. I საუკუნეში მყარდება სავაჭრო კავშირი ევროპასა და ჩინეთს შორის, რის დადასტურებაც წარმოადგენს რომაული მონეტებისა და საგნების აღმოჩენა ხანის იმპერიის ტერიტორიაზე. ხანის პერიოდში ჩინეთში ფასობდა რომის იმპერიაში – ალექსანდრეისა და სირიაში წარმოებული მინის ჭურჭელი, ფუფუნების საგნები – ოქროთი მოქარგული ხალიჩები, მოოქროვილი და ასბეტის ნაჭრები. რომის იმპერიაში პოპულარული იყო ჩინური აბრეშუმი. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ხანის დინასტიაში არსებული ეთნოცენტრული იდეოლოგიისა, ჩინელები პატივისცემით მოიხსენიებდნენ რომს და „დაცინს“ (დიდი ცინი) უწოდებდნენ, რომაელები კი ჩინეთს „სერესს“ (ლათ. *seres*) „აბრეშუმის“, ანუ „აბრეშუმის ქვეყანას“.

სალომე სუხიაშვილი

## **რამდენიმე ქართული და იაპონური ტრადიცია კომპარატივისტულ ჭრილში**

საქართველოში სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა ინტერესდება იაპონიით. შესაბამისად, მათ უჩნდებათ კითხვები, არის თუ არა საერთო ტრადიციები ქართულ და იაპონურ კულტურაში. ტრადიციები ყალიბდება ისტორიულად და თაობიდან თაობას გადაეცემა. როგორც ვიცით, ტრადიციები ყალიბდება გარკვეულ სოციალური ჯგუფის შიგნით, თუმცა ფოლკლორი უნიკალური რამაა, სწორედ ამიტომ მსოფლიოში გავრცელებულ ტრადიციებს შორის, აღმოვაჩენთ ერთნაირ დღესასწაულებს. სწორედ ასეთ წეს-ჩვეულებებზე იქნება აგებული ნაშრომი. ერთმანეთს შევადარებთ რამდენიმე წეს-ჩვეულებას.

1. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სვანეთში გავრცელებულ „ლიფანალსა“ და იაპონურ „ბონ მაცურის“ დღესასწაულს.
2. „კუდიანთ ნუხრასა“ და „100 დემონის მსვლელობას“.
3. დარისა და ავდრის გამოხმობის რიტუალს.

თამარ ცაგარელი

## **ნოს თეატრი-მსოფლიოს უძველესი ტრადიცია**

„რა არის ნო?!“ – ამ სახელწოდებით იწყება XIV საუკუნის იაპონელი მსახიობის ძეამი მოტოკიეს თეორიული ნაშრომი და სანამ ავტორი სათეატრო ხელოვნებას შეეხება, მკითხველს სთავაზობს ბუდიზმის ძირითად მოძღვრებას „ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტების“ შესახებ, რომელთა თანახმად, ცხოვრება – ბოროტება და ტანჯვაა, დაბადებისა და ცხოვრების მიზეზი – ქმედება, მოქმედება, რომლის მიზეზია - სურვილები, ბოროტებისაგან – ესე იგი – სიცოცხლისაგან გათავისუფლების მიღწევა ამქვეყნიურ სურვილებზე უარის თქმით შეიძლება და ბოლოს, სურვილებისგან თავის დახსნის გზა – ბუდიზმის მოძღვრების მიყოლაა, რომელიც მონაშენებს სთავაზობს „ხსნის კეთილშობილურ რვა გზას.“ ძეამისათვის სიტყვის ელფერისა და მთლიანობის შეგრძნება მოაქვს მუსიკას, ფერს, მოძრაობას ანუ ვიზუალს და შემდგომ, უკვე სიტყვას.

სწორედ, ამ თეატრის შექმნის საფუძვლებია მნიშვნელოვანი, დღეს, XXI საუკუნეში, როცა მსოფლიო სათეატრო ხელოვნების კულტურა აქცენტირებულია ქორეო დრამაზე, როგორც მსოფლიო ენაზე. ამიტომაც, თეატრალური ანთროპოლოგიისთვის მნიშვნელოვანია ტრადიციული იაპონური თეატრის ნოს შესწავლა და მისი მეთოდოლოგიის გააზრება.



ნანა ციხისთავი

**ისტორიის სწავლება საზღვრების გარეშე: რა უნდა გაკეთდეს მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ისტორიის სწავლებაში სამხრეთ კორეის მაგალითზე**

თანამედროვე მსოფლიოში დღესდღეობით აქტულობას და წამყვან სახელმწიფოთა ინტერესს არ კარგავს ისტორიის მეცნიერებისა და სწავლების საკითხები. ორმაგად მნიშვნელოვანია ეს პრობლემა სახელმწიფოთათვის, ვისაც იდენტობის შენარჩუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები აქვს. ამ მხრივ საინტერესოა შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი მაღალგნვითარებული ქვეყანა- სამხრეთ კორეა როგორ არეგულირებს ამ პრობლემას, მეტადრე, რომ მას აქვს იდენტობის შენარჩუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები.

სამხრეთ კორეის სასკოლო განათლება იყოფა სამ საფეხურად: დაწყებითი სკოლა- 6 წელი; საბაზო სკოლა-3 წელი; საშუალო სკოლა- 3 წელი. მოსწავლეები სწავლობენ კორეის ისტორიას სამივე საფეხურზე განსხვავებული თემებით, სიღრმით და სტანდარტებით. მსოფლიო ისტორია სავალდებულოა საბაზო საფეხურზე, ხოლო რაც შეეხება საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ისინი ირჩევენ სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა კურსებს, რომლებიც მოიცავენ კორეის ისტორიას, აღმოსავლეთ აზიისა და მსოფლიო ისტორიას. სამხრეთ კორეაში ისტორიის განათლების მრავალი პროფესიონალი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა იგულისხმება და როგორ უნდა განავითარონ მოსწავლეების მიერ ისტორიის დისციპლინის გაგება, ხოლო საზოგადოების ყურადღება გამახვილებლია იმაზე, თუ რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა წარსულის შესახებ სკოლის დამთავრებისას.

სამხრეთ კორეაში ისტორიული განათლება აღიქმება და გამოიყენება, როგორც ეროვნული იდენტობისა და სამოქალაქო ცნობიერებისა და კომპეტენციების განვითარების გზა. ისტორიის შესწავლა არის იმის გააზრება, თუ ვინ არიან კორეელები, საიდან მოვიდნენ და საით უნდა წავიდნენ. ეს, აგრეთვე, არის სოციალური ერთიანობის ამაღლების გზა, რაც მომდინარეობს ქვეყნის წარსულის გააზრებით და მთავრდება მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებით. ეს განსაკუთრებით ეხება ჩდილოეთ კორეასთან ურთიერთობის პრობლემას.

სამხრეთ კორეაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ისტორიის განათლებას მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საგანს უახლოვებენ. იმავდროულად, მიმდინარეობს დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენად შესწევს უნარი ისტორიის განათლებას, რომ აქტიური მოქალაქეობის პოპულარიზაციას მოემსახუროს. ისტორიის პედაგოგებში არის მნიშვნელოვანი ინტერესი ისტორიის სწავლების უკეთესი გზების შესახებ და იგი სულ

უფრო ფართოვდება. თვალსაჩინოა ისტორიის სწავლების ახალი მეთოდების მიღების ტენდენცია, რაც ხელს უწყობს ისტორიის გააზრებას, წყაროების სრულფასოვან გამოყენებას, მოსწავლეთა თავისუფალ, დამოუკიდებელ აზროვნებას და სწავლისადმი დემოკრატიულ, კონსტრუქტივისტულ მიდგომას.

სალომე ციხისელი

### **სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე**

ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემის „სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენა ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების ფორმირებაზე“ – მთავარ საკვლევ მიმართულებას წარმოადგენს ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებმაც მოცემულ სამ ენაში არსებული იდიომების ჩამოყალიბებაზე მოახდინეს გავლენა. ფრაზეოლოგიური ერთეული – იდიომი ხალხის გამოცდილების, შეხედულებებისა და ემოციების გამოხატულებაა. ისინი ძალიან დიდ როლს თამაშობენ ნებისმიერ ენაში. აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეული, როგორც ენის განსაკუთრებული ფორმა, შეიცავს დიდ კულტურულ ინფორმაციას, როგორცაა: ისტორია, გეოგრაფია, რელიგია, ადათი, ეროვნული ფსიქოლოგია და ა.შ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოაჩენს ისტორიულ მემკვიდრეობას და კულტურული განვითარების პროდუქტს.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა სხვადასხვა ფაქტორის კვლევით, მეტი გავიგოთ სხვადასხვა ქვეყნის კულტურაზე, ისტორიაზე, რელიგიაზე, ადათზე, წეს-ჩვეულებებზე, მითოლოგიაზე და პირიქით, აღნიშნული ფაქტორების შესწავლით, სიღრმისეულად ჩავწვდეთ ინგლისური, ჩინური და ქართული იდიომატური გამოთქმების თავისებურებებს. ნაშრომში განხილულია ის ცალკეული ფაქტორები, რომელთა ზემოქმედების შედეგად ფორმირებული გამოთქმები მივიღეთ. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიით, რელიგიით, კულტურით, ადათ-წესებით, მითოლოგიით, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული გარემოთი განპირობებული. სამივე ენაზე არსებული სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით შემდგარი იდიომები ნაშრომში მოცემულია დიფერენცირებულ ჯგუფებად და შედეგები დაწვრილებით არის აღწერილი.

თინათინ შიშინაშვილი

## **ჩინეთი კულტურის განზომილებათა სქემებში**

მოხსენების მიზანია ჩინეთის კულტურის გაანალიზება ჰეერტ ჰოფსტედესა და მიხაილ მინკოვის, აგრეთვე რიჩარდ ლუისის ტიპოლოგიური მახასიათებლების მიხედვით. ორი და მეტი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა შორის წარმატებული ურთიერთობების საფუძველი სწორი და გამართული კომუნიკაციაა, რომელიც, ენობრივი ბარიერის გადალახვის გარდა, ერთმანეთის კულტურათა ცოდნას მოითხოვს. თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში კულტურათა შორის ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიური ხდება და მრავალ სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ამ პროცესში ინდივიდები საკუთარი კულტურის პრიზმიდან აკვირდებიან სხვის კულტურას და განსხვავებულობას აქცევენ ყურადღებას. ეს ხშირად წარმოშობს გაუგებრობებს, რომლებიც სერიოზულ ბარიერს ქმნიან წარმატებული კომუნიკაციის გზაზე. ინტერკულტურული კვლევების სფეროში ცნობილია სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული ტიპოლოგიური სქემები, რომლებიც ეროვნული კულტურების განსხვავებულ განზომილებებს გვთავაზობენ. მათი სიმრავლე და თანაარსებობა არც ურთიერთგამომრიცხავია და არც ყოვლისმომცველი, არამედ კულტურათა შორის მსგავსების და განსხვავების დანახვისა და კომუნიკაციის პროცესში მათი გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

ინტერკულტურულ კვლევებში გამორჩეული ადგილი უკავია ჰეერტ ჰოფსტედესა და მიხაილ მინკოვის კულტურის განზომილებებათა სქემას და რიჩარდ ლუისის კულტურის კლასიფიკაციებს. სწორედ მათი მოდელების პრიზმაში განვიხილავთ ჩინეთის კულტურას.

მარიამ ჩალაბაშვილი

## **იაპონური აზროვნების ლაბირინთებში**

იაპონიაში ასეთი გამონათქვამი არსებობს: „ათი ადამიანი, ათი ფერი“ და მართლაც, გვინახავს ორი ადამიანი იდენტური აზროვნებით, გრძნობებით, მისწრაფებებითა თუ გარეგნობით? გვიფიქრია იმაზე თუ რა არის ჩვენი „იკიგაი“ – ცხოვრების დანიშნულება, ის მიზეზები რისთვისაც ცხოვრობთ და როგორ უნდა ვიპოვოთ ის?

როგორ უყურებენ იაპონელები სამყაროს და როგორ პოულობენ საკუთარ იკიგაის? ანდაც რას ნიშნავს ვაბი-საბი? როგორ ესმით ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს ცხოვრების წარმავლობა და ის ნაკლოვანე-

ბები, რომლებიც ერთი შეხედვით, პესიმიზმის საბაბი შეიძლება გახდეს, მაგრამ უყურებენ კი ისინი ამას ასეთი თვალთ? სად პოულობს იაპონელების აზროვნების სტილი გამოძახილს? ამ კითხვებს გაცემა პასუხი ჩემს მოხსენებაში.

შალვა ჩიხლაძე

### **ქართველი ბოლშევიკების ჩართულობა ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში 1920-1930-იან წლებში**

საუკუნეთა განმავლობაში საქართველოდან ნებით თუ ძალით წასული მოქალაქეები, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ევრაზიის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა სახელმწიფოებში, როგორც სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფიგურები. ამ მხრივ გამონაკლისი არც შორეული აღმოსავლეთი იყო, სადაც სხვადასხვა პერიოდში ქართველები ჩართულნი იყვნენ პოლიტიკურ პროცესებში და დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ.

1920-იან წლებში ჩინეთის კომუნისტური პარტიასა და ნაციონალისტურ პარტიას შორის შუამავლის როლს ახორციელებდა „კომინტერნი“, რომლის წევრები ჩინეთში აქტიურად მუშაობდნენ საკუთარი პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენების გასაფართოებლად და მოსკოვის მხრიდან ინსტრუქტაჟის გადაცემისას ძირითადი გამტარნი იყვნენ. 1927 წელს დასრულდა სამწლიანი ეროვნული თანხმობა კომუნისტურ და ნაციონალისტურ პარტიას შორის და მათ შორის ანტაგონიზმი კიდევ უფრო გაიზარდა. სწორედ ამ პერიოდში კრემლმა ინსტრუქტაჟისთვის მიავლინა კომინტერნის ახალი დელეგაცია ბესარიონ ლომინაძისა და ჰეინც ნეუმანის ხელმძღვანელობით. კომინტერნის მეცადინეობით კომპარტიის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადააყენეს ჩენ ტუსიოუ და აირჩიეს ახალი პოლიტბიურო. მეტიც, ლომინაძისა და ნეუმანის ჩართულობით ახალგაზრდა მათ ძედუნი დროებით წევრად შევიდა პოლიტბიუროში, რითითაც მისი გავლენა საგრძნობლად გაიზარდა. კომინტერნის საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლა, მათ რეკომენდაციები გასცეს შეიარაღებული წინააღმდეგობის დაწყებასა და ადგილობრივ აჯანყებებზე, რომლის წარუმატებლობაც გარკვეულწილად გახდა დამოკლეს მახვილი ლომინაძის თავზე.

კიდევ ერთი ქართველი ბოლშევიკი, რომელიც ჩინეთის სამოქალაქო ომში კრემლის უშუალო წარმომადგენელი იყო ალექსანდრე (ალიოშა) სვანიძე გახლდათ. სვანიძე სტალინის პირველი ცოლის ძმა იყო, რომელიც სხვადასხვა დროს გავლენიან თანამდებობს იკავებდა. 1934 წელს

როგორც სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელი და დესპანი, სვანიძე სინდიანგში ჩადის და იქაურ სამხედრო მმართველს შენგ შიცაის რეგიონის ეკონომიკურ, ფინანსურ და სამხედრო მოდერნიზებაში დირექტივებს აძლევს. სვანიძე რეგიონში გარკვეული პერიოდი რჩება და ორგანიზაციულ საკითხებს კურირებს, რის გამოც არაერთი ვერბალური თუ წერილობითი მადლობა მიიღო ადგილობრივი მმართველებისგან.

ქართულ აკადემიაში ზემოთხსენებული ეპიზოდები ფაქტობრივად არ არის შესწავლილი, არადა სვანიძეც და ლომინაძეც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივ პროცესებში როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. კვლევა პირველი მცდელობაა, თავი მოუყაროს ქართველების ჩართულობას ჩინეთის პოლიტიკურ პროცესებში გასული საუკუნის 20-30-იან წლებში, აღწეროს მათი პიროვნული და პროფესიული როლი ჩინეთის სამოქალაქო როლში. მოხსენება ეფუძნება ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ წყაროებს, რაც ერთიანობაში ფართო სურათს იძლევა და ფაქტების გადამოწმებას შესაძლებელს ხდის.

კახაბერ ჭაფოძე

### **ომის ევოლუცია და სუნ-ძის ფუნდამენტური იდეების რელევანტურობა თანამედროვე სამხედრო დოქტრინებთან**

წინამდებარე მოხსენებაში წარმოდგენილია ანტიკური ხანის ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსის სუნ-ძის (დაახლოებით 544-496 წლები ძვ.წ. ) „ომის ხელოვნებაში“ განხილული ფუნდამენტური იდეების რელევანტურობა თანამედროვე სამხედრო დოქტრინებთან მიმართებაში. ეს შესანიშნავი ნაშრომი დღემდე კვლევისა და შესწავლის საგანია როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროში. მოხსენების შესავალ ნაწილში განალიზებულია სუნ-ძი, როგორც ისტორიული პიროვნება იმ ისტორიულ, კულტურულ და ფილოსოფიურ კონტექსტში, რომელშიც „ომის ხელოვნება“ დაიწერა. ასევე მისი გავრცელებისა და გამოყენების არეალი. მოხსენების ძირითად ნაწილში განხილულია „ომის ხელოვნების“ თითოეულ თავში მოცემული ფუნდამენტური იდეები, მათი ზეგავლენა დასავლეთის სამხედრო აზროვნებაზე და შესაბამისობა დღევანდელ სამხედრო ოპერაციებთან და პრობლემების გადაწყვეტის გზებთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სუნ-ძის „ომის ხელოვნება“ უძველესია სამხედრო თემატიკაზე შექმნილ ნაშრომთაგან, რომლებიც დღეს დასავლეთის სამხედრო სტრუქტურებში იკითხება. უძველესი ელინური ტექსტები, მაგალითად, საინტიერესოა ისტორიული თვალსაზრისით, მაგრამ პრაქტიკულად გამოუყენებელია, განსხვავებით სუნ-ძის „ომის

ხელოვნებისგან“; იგი ერთადერთი უძველესი ნაშრომია, რომელიც დღევანდელი სამხედრო განათლების მოთხოვნებს შეესაბამება. რათქმაუნდა, დრო და ადგილი, რომელშიც ეს წიგნი დაიწერა, გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს; შეიძლება წარმატებული ოფიცრის კარიერა გვექონდეს ამნიგნის წაკითხვის გარეშეც. თუმცა სუნ-ძის ნაუკითხავად ჩვენ გვერთმევა სიბრძნის იმ წყაროს გაცნობის საშუალება, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო ყველა ეპოქაში და დღესაც აქტუალობას არ კარგავს მთელს მსოფლიოში. თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში მნიშვნელოვანია სუნ-ძის მოსაზრებების ინტეგრირება სამხედრო დოქტრინაში, რათა მიღწეულ იქნას ომის უფრო ღრმა და საფუძვლიანი გაგება.

ლეილა (ია) ხუბაშვილი, გიორგი ოქრიაშვილი

### **იაპონური ფაშიზმის ზოგიერთი საკითხისათვის**

უკანასკნელ პერიოდში იაპონურ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაიზარდა ინტერესი იაპონიაში ფაშიზმის პრობლემატიკისადმი. იყო თუ არა ფაშიზმი იაპონიაში? ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ისტორიკოსთა ორი ჯგუფი. ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ იაპონია არ იყო ფაშისტური სახელმწიფო. ამ ჯგუფში შედიან იაპონელები: ტაკაში, ტაკეხირო, ტაკახი და ინგლისურენოვანი მკვლევარები: ბერგერი, გარონი, კაზა, ბრაუნი, დუსი, სპილმანი, ოკიმოტო. მათი მთავარი არგუმენტებია: 1. იაპონიაში არ ყოფილა მასობრივი ფაშისტური მოძრაობა; 2. იაპონიას არ ჰყოლია ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ქარიზმატული ლიდერი; 3. იაპონიაში არ მომხდარა ფაშისტების მიერ ხელისუფლების უზურპირება; 4. იაპონიაში ამ დროისათვის მომხდარი ტერორისტული აქტები სახელმწიფოს მიერ იყო ინსპირირებული და დაფინანსებული. 5. იაპონიაში არ არსებობდა კორპორატიული სისტემა; 6. იაპონია უნიკალური ქვეყანაა და მასზე არ მოქმედებს ტრადიციული ისტორიული კატეგორიები, რომლებიც გამოყენებულია ისტორიული პროცესების ასახსნელად სხვა ქვეყნებში.

იაპონიას ფაშისტურ ქვეყნად თვლიდნენ არა მარტო მარქსისტები, არამედ სხვა იაპონელი მკვლევარებიც: კინზო, ჰიროზუმი, მასაო, კიოტადა, ტეტცუო, იოშიაკი. ინგლისურენოვანი მკვლევარები: ბიქსი, გორდონი, რეინოლდსი, ტანსმანი. ისინი საუბრობენ „საიმპერატორო ფაშიზმზე“, „კომპოზიტურ ფაშისტურ სახელმწიფოზე“, გერმანიისა და იაპონიის ანალოგიებზე (ძალის კულტი, ყველაფრის ნებადართულობა, ნაციონალური განსაკუთრებულობა, დიქტატურა, „იმატოს რასის“ ექსპანსიური პოლიტიკა...). რეინოლდსის თანახმად, „იდეოლოგია, რომელიც აგებულია იმპერატორის ხელისუფლებაზე, წარმოადგენს ფაშიზმის

ერთერთ ფორმას იაპონურ სტილში“. აშშ და დიდ ბრიტანეთში ბევრმა მკვლევარმა იაპონიის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით აღმოაჩინა „ფაშიზმის კულტურა“ და „ფაშისტური ესთეტიკა“, აღარაფერს ვამბობთ „კრიზისთან ფაშისტური მეთოდებით ბრძოლაზე“. ამავე დროს აღსანიშნავია იაპონური ფაშიზმის სპეციფიკური მახასიათებლები. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: 1. იაპონური ფაშიზმის დროშა იყო არა პარტია, არამედ იმპერატორი; 2. ტანაკას 7 ეტაპიანი გეგმა; 3. იამატოს უმაღლესი რასის დომინანტობა აზიაში; 3. ნაციონალური რელიგიის- შინტოსა და სამურაების კოდექსის „ბუშიდოს“ იდეის სინთეზი.

ზოგიერთი მკვლევარი იაპონიას ფაშისტურად ჯერ კიდევ 1930 წლიდან მიიჩნევდა: 1. იმპერატორ ჰიროჰიტოს, „აზიელი ჰიტლერი“ უწოდეს და ის არ გაასამართლეს მხოლოდ იმიტომ რომ ტოჯომ და სხვა გენერლებმა საკუთარ თავზე აიღეს მთელი პასუხისმგებლობა დანაშაულისა. ეს იყო სამურაების ეთიკის გამოვლინება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მილიტარისტული იაპონიის მთელი პატრიოტული კულტი აგებულია იმპერატორის თაყვანისცემაზე და მის სამსახურზე არა როგორც ადამიანზე, არამედ როგორც „მზის შვილზე“ და შინტოიზმის უმაღლეს იერარქზე. იაპონურ ძალაუფლების მოდელშიც იმპერატორი მნიშვნელოვანია არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც ფუნქცია. 2. კორპორატიული სისტემა. იაპონიაში კორპორაციული ასოციაცია „საიბაცუ“ ჯერ კიდევ შოუას ეპოქამდე გაჩნდა და ზოგიერთი მათგანი: მიცუბიში, მიცუი, სუმიტომო ისეთივე წარმატებით თანამშრომლობდა მილიტარისტულ ხელისუფლებასთან, როგორც სიმენსი, ტიისენი და კრუპი გერმანიაში. 3. იაპონიას იგივე მიზნები ჰქონდა, რაც ლერძის ქვეყნებს: მსოფლიოს გადანაწილება, ბრძოლა კომუნიზმთან. 4. იაპონიამ გამოიყენა გენოციდის მეთოდები ჯერ კიდევ 1937 წელს, როცა ნანჯინგში 500 ათასი ადამიანი დახოცა. 5. იაპონურ ფაშიზმში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შინტომ, რომელმაც დოგმატური ხასიათი მისცა იაპონელთა განსაკუთრებულობის კონცეფციას. 6. იაპონურ დროშას კიოკუძიცუს დღემდე ჩინეთსა და კორეაში აღიქვამენ, როგორც სვასტიკას. 7. ფაშისტური პარტიის როლს იაპონიაში შეიარაღებული ძალები ასრულებდა. 8. იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიის განმანხორციელებელი იყო ფაშისტური ორგანიზაცია „ტახტის დახმარების ასოციაცია“ (1940-1945), რომელიც პრემიერ მინისტრმა, პრინცმა კონოემ დაარსა მალევე, როგორც კი იაპონია „ღერძს“ შეუერთდა.

და ბოლოს, ფაშიზმის ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დებატები იაპონურ ფაშიზმზე კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ლევან ჯანჯღავა

## **ფუსაკო შიგენობუ, როგორც წარსულისა და მომავლის საშიში კომბინაცია**

ორი თარიღი, ორი განსხვავებული გეოგრაფიული მხარე და ორი შემთხვევა, რომლის ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირება რთულია. ეს თარიღებია: 21 თებერვალი, 1848 წელი, როდესაც პირველად გამოიცა კომუნისტური მანიფესტი და 11 სექტემბერი, 2001 წელი.

მაგრამ, მაინც როგორ არის ეს ორი თარიღი ერთმანეთთან დაკავშირებული? გავეცნოთ, ფუსაკო შიგენობუს, მართლაც რომ წარსულისა და მომავლის საშიშ კომბინაციას. სწორედ აქ ვეცდებით დავინახოთ შიგენობუს, მარქსსა და 9/11-ს შორის კავშირის დინამიკა.

ფუსაკო შიგენობუ დაიბადა 1947 წელს, იმპერიული არმიის მემარჯვენე მაიორის ოჯახში. ტოკიოს უნივერსიტეტში სწავლისას ის გაიტაცა მემარცხენე რადიკალურმა იდეებმა, რასაც დაეხმარა ის ფაქტი რომ შიგენობუ ძალზედ ღარიბი იყო. 1968-9 წელს ფუსაკო კომუნისტურ, სტუდენტურ ორგანიზაციაში შევიდა, რომლის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკური მიზნების მიღწევა ძალადობრივი მეთოდებით. ამ კომუნისტურ მოძრაობებს იაპონიამ მკაცრად უპასუხა და ამავე პარტიების თუ ჯგუფების მრავალი ლიდერი იქნა ციხეში ჩასმული.

ამ მოვლენებმა შიგენობუს და მის რამოდენიმე ათეულ თანამოაზროვნეებს უბიძგა იაპონიიდან გაგქცევა. მათი საბოლოო დანიშნულება ლიბანი, მათი საკონტაქტო ორგანიზაცია კი, ასევე „კომუნისტური პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი“ იყო. 1971 წელს, შიგენობუმ „იაპონური წითელი არმია“ დააარსა. სავარაუდოდ ზუსტად შიგენობუს მეთაურობის დროს გაუნია მან პოპულარიზაცია კამიკაძე მეთოდს რომელიც პირველად 1972 წელს ლოდის აეროპორტის ინციდენტში იქნა გამოყენებული, შემდეგ კი ამ მეთოდის „განვითარება“ მოხდა, როდესაც 1983 წელს, ამერიკული ყაზარმის დაბომბვა მოხდა ბეირუთში. რალათქმაუნდა, ეს მხოლოდ ორი ინციდენტია იმ მრავალი შემთხვევებიდან რომლებმაც შიგენობუს და იაპონურ წითელ არმიას უდიდესი პოპულარობა მოუტანეს. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის. ფაქტია რომ, ზუსტად შიგენობუ იყო ის ადამიანი, ვინც თავისივე იაპონელ და პალესტინელ კომუნისტებს (და არა მარტო), კამიკაძეს მეთოდის ოპერაციები ჩაატარებინა. სულ თავიდან ლოდში, მისი ოპერაცია მხოლოდ ავტომატური იარაღების გამოყენებას და ახლო მახლო მგზავრების სადისტურად დახვრეტას ითვალისწინებდა. მაგრამ, როგორც ავლნიშნეთ, ამ მეთოდმაც განიცადა განვითარება, როდესაც ბეირუთში, ამერიკულ ყაზარმაში დანაღმული სატვირთო მანქანა, შიგნით მჯდომმა ორმა პალესტინელმა ააფეთქა და



ლოდის ინციდენტისაგან განსხვავებით არა 26, არამედ 300-ზე მეტი ადამიანი შეიწირა. ამ ოპერაციების უკან რათქმაუნდა შიგენობუს ხელი ურევია.

ზუსტად ამიტომაც არის ფუსაკო შიგენობუ წარსულისა და მომავლის საშიში კომბინაცია, რადგან იგი არის ზუსტად ის ქვა რომელიც ჰქმნის იმ ხიდს, რომელიც მარქსს, 9/11-თან აკავშირებს.

2000 წელს ის დაბრუნდა ოსაკაში, სადაც იცნეს და დააპატიმრეს. დაკავებისას შიგენობუმ განაცხადა, რომ ბრძოლა, სხვა მეთოდებით, მაგრამ ისევ გაგრძელდებოდა.

მარინე ჯიბლაძე

### **ჭოუ ენლაი და ახალი ჩინეთის დიპლომატიური სამსახურის ფორმირება**

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ჭოუ ენლაის როლს ახალი ჩინეთის დიპლომატიური სამსახურის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაში. ჩინეთისთვის 1949 წელი იყო ის პერიოდი, როდესაც ახალი ჩინეთის დიპლომატია ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამდა და მას არ გააჩნდა საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური კადრი. ნაშრომში გამოვავლენთ ჭოუს დამსხურებას ახალი მოდელის პროფესიონალური, საიმედო და სანდო დიპლომატიური კადრებისა და დიპლომატიური მექანიზმის ჩამოყალიბებაში. გადამზადების შემდეგ, მან შეადგინა ახალი მოდელის, სახელმწიფო პოლიტიკაში ჩახედული, დისციპლინირებული და ერთ მუშტად შეკრული დიპლომატიური გუნდი. ჭოუ ენლაიმ, ფაქტობრივად, გამოწრთვნა დიპლომატიური კონტინგენტი, შექმნა და განავითარა დიპლომატიის ახალი სტილი. ჭოუ ხვდებოდა, რომ ახალ ჩინეთს სჭირდებოდა ახალი დიპლომატია, რომელიც შესძლებდა განემტკიცებინა მოპოვებული გამარჯვება, რომლის შედეგადაც შეიქმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. კულტურული რევოლუციის დროს, ჭოუ ენლაი უკიდურესად რთულ პირობებში მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა საგარეო საქმეების კონტროლის მცდელობას და ყველანაირად ცდილობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების დაცვას, რომლებიც ზოგჯერ იდევნებოდნენ, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ დიპლომატიურ საქმიანობას.

ხელისუფლების სათავეში ჭოუ ენლაი რჩება 1976 წლამდე, ანუ სიცოცხლის ბოლომდე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იგი განსაზღვრავდა ქვეყნის საგარეო კურსს და, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, ბრწყინვალე შედეგებს აღწევდა.

